1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ დაწესებულებაში მოქმედებს „პროფორიენტაციისა და კურსდმთავრებულთა ბაზის მართვის მექანიზმები “(დამტ. N 107 19.05.2020) სადაც გაწერილია კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები, რაც გულისხმობს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ხელშეწყობას კარიერის დაგეგმვაში, დასაქმების ფორუმების მონაწილეობასა და დასაქმებაში. კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის ფარგლებში ეწყობა ინდივიდუალური ან/და გაერთიანებული შეხვედრები პროგრამის დასრულების ეტაპზე ან დასრულების შემდეგ, სადაც კონსულტაციები გაიცემა კარიერული განვითარებისთვის პროფესიული მიზნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. კონსულტაციების ფარგლებში, სტუდენტები იღებენ რჩევებს სტაჟირების მოძიების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

სტრატეგიების, ეფექტური რეზიუმეს შედგენის, სამოტივაციო წერილის მომზადების საკითხებში; ასევე - ინტერვიუსთვის მომზადებასა და ანაზღაურებაზე მოლაპარაკების წარმართვის თაობაზე. შემხვედრი საჭიროებების შესაბამისად, საკონსულტაციო შეხვედრა წარიმართება პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზეც და ინდივიდუალურ რეჟიმშიც. დასაქმების ხელშეწყობის ფარგლებში, პარტნიორი კომპანიების მოთხოვნით, დასაქმების მიზნებისთვის ხდება სტუდენტების შერჩევა.აღნიშნული მექანიზმის პრქტიკაში ფუნქციონირება დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან და ადმინისტრაციის წარმოამდგენლებთან ინტერვიუირებით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულება პროფორიენტაციის მიზნით აქტიურად ახორცილებს პროგრამებს საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც თბილისის, ასევე იმერეთის და კახეთის რეგიონის მოსწავლეებისთვისაც.

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან დამსაქმებლებთან დაორგანიზებული შეხვედრების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურებს აღნიშნული ფაქტის პრაქტიკაში მოქმედება.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ: კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ ინფორმაციის მოძიება ხდება გამოკითხვის გზით, პროგრამის დასრულებიდან 6 თვის ვადაში ელექტრონული სისტემების/სატელეფონო კომუნიკაციის გამოყენებით. კურსდამთავრებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები მიღების/დასრულების წლებისა და პროგრამებისა მიხედვით მუშავდება და სტატისტიკური ფორმით წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულებამ წარმოადგინა 2019 წლის საშემოდგომო მიღების კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, ასევე დაწესებულება ჩართული იყო პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევაში რომელიც ჩატარდა 2022 წლის დეკემბერში და მოიცავდა 2020-2021 და 2021-2022 წლის მიღების კურსდმთავრებულებს.

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ: დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა და კვლევის შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ  კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემდგომ მათი მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროება ჯერჯერობით არ გამოვლენილა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება  უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ კოლეჯ ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის დირექტორის 2020 წლის 19 მაისის ბრძანება N 107 „პროფორიენტაციისა და კურსდმთავრებულთა ბაზის მართვის მექანიზმები;
- 2019 წლის საშემოდგომო მიღების კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები;
- პროფორიენტაციის, საწარმოო პრაქტიკის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;
- ინტერვიუს შედეგები;
- evaluatiuon.ge



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. ადამიანური რესურსები**

**4.1 პერსონალის და პროცესების მართვა**

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის დანართებად წარმოდგენილია დაწესებულების სტრუქტურა და საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა ფუნქცია-მოვალეობები. დოკუმენტში მკაფიოდაა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

გაწერილი თითოეული პოზიციის შესაბამისი ფუნქციები. კოლეჯის დირექტორის ფუნქციები განსაზღვრულია კოლეჯის წესდებით.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. დაწესებულების საშტატო და შტატგარეშე მომუშავეთა შორის პასუხისმგებლობები და ფუნქციები ისეა გადანაწილებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს კოლეჯის წესდებით განსაზღვრული საქმიანობის განხორცილება.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კოლეჯის ხარისხის უზრუნვეყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, რომლის ფუნქციებია ხარისხის უზრუნვეყოფის მიზნით დადგენილი სტანდარტების ინტერპრეტაცია, პერსონალის კონსულტირება, ხარისხის უზრუნვეყოფის პროცესის დაგეგმვა, პროცესების მონიტორინგი, სტანდართან შესაბამისობის ანგარიშის მომზადება, კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და მონიტორინგში მონაწილეობა. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით“ და მისი დანართები;
- კოლეჯის წესდება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. შინაგანაწესით განსაზღვრულია სამუშაო დრო, დასაქმებულის მიერ შვებულების გამოყენების პირობები და წესი, დასაქმებულის მივლინების წესი, დასაქმებულის მოვალეობები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესები, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და სხვა. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ცვლილებები შეიტანა შრომის შინაგანაწესში და დეტალურად ასახა დისკრიმინაციის ამკრძალავი

დებულებები. თანამშრომლებთან გაფორმებულია შრომის ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს შრომის კოდექსით განსაზღვრულ სავალდებულო დებულებებს (იხილეთ დანართი 3- ცვლილება შინაგანაწესში).

2. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის და კონკურსის გამოცხადების წესი. კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი. ვაკანსიები თავსდება დასაქმების საიტებზე და კოლეჯის ვებგევრდზე. აპლიკაციების მისაღებად დაწესებულებას აქვს სპეციალური ელ.ფოსტა, ელ.ფოსტაზე შემოსული განაცხადების გადარჩევა ხდება ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, შერჩეულ აპლიკანტებთან ტარდება გასაუბრება. დაწესებულებამ წარმოადგინა კონსკურსის ჩატარების მტკიცებულებები. შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3.დაწესებულებას ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისი დანართებით განსაზღვრული აქვს საშტატო ნუსხით განსაზღვრულ მომუშავეთა და შტატგარეშე მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. წარმოდგენილი პირადი საქმეებით დგინდება, რომ სტრატეგიული განვითარების კონსულტანტის კვალიფიკაცია არ შეესაბამება აღნიშნული პოზიციისთვის კოლეჯის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრული იყო უმაღლესი განათლება, ხოლო დასაქმებული პირის პირად საქმეში წარმოდგენილი იყო პროფესიული კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე რეზიუმედან ირკვევა, რომ აღნიშნული პირი არის საბაკალავრო პროგრამის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ცვლილება შეიტანა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში და სტრატეგიული განვითარების კონსულტანტის საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვრა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

პროფესიული/უმაღლესი განათლება (იხილეთ დანართი 4- ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში).
**ხარვეზი:** პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ პოზიციას.

4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულებამ წარმოადგინა არაერთი სამუშაო ჯგუფის და კომისიის ოქმი, რითაც დასტურდება რომ ცალკეული პროცესები იგეგმება და ხორციელდება გუნდურობის პრინციპით. კოლეჯის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კოლეჯში ყოველკვირეულად ტარდება შეხვედრები,სადაც ხდება პრობლემური საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და მისი დანართებით;
- შინაგანაწესით;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების აქტებით.
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით;
- სამუშაო ჯგუფების ოქმებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

შეფასება:

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _________________________

_________________________

_________________________

*(თბილისი,2023)*

### 4.2 პერსონალის განვითარება

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.პერსონალის საქმიანობის შეფასებისთვის დაწესებულება იყენებს თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს, დაწესებულების ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული განვითარების საჭიროებები დგინდება და შესაბამისი გადაწყვეტილები მიიღება თანამშრომლებთან ყოველკვირეულ შეხვედრებზე. პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები გამხდარა პერსონალის წახალისების საფუძველიც. პროფესიული განათლების მასწავლებლების შეფასება ხდება პროფესიული სტუდენტების მიერ სპეციალური კითხვარის საშუალებით.დაწესებულებას 2023 წლის სამოქმედო გეგმით მარტსა და აპრილში განსაზღვრული აქვს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროების შეფასება.

მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გარდა პერსონალის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა, განსაზღვროს პერსონალის შეფასების მკაფიო მექანიზმები.

**განვითარების რეკომენდაცია:** დაწესებულებამ შეიმუშავოს პერსონალის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმები, სისტემატიურად შეაფასოს პერსონალი, შეფასების შესახებ მოახდინოს პერსონალის წინასწარი ინფორმირება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

2.დაწესებულებას 2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქვს თანამშრომლების გარე ტრენინგებზე გაშვება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. დაწეებულების ხელმძღვანელმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ თანამშრომლები ყოველთვის ერთვებიან სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ შეთავაზებულ ტრენინგებში, რაც ასევე დასტურდება პირად საქმეში წარმოდგენილი სერთიფიკატებით. ასევე დაწესებულების მხარდაჭერით პერსონალი გადის სხვადასხვა ტრენინგებს. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ გავლილი აქვთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებებისთვის შეთავაზებული ტრენინგები.

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან: ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომლის ინტეგრაციის წესი. დაწესებულება თანამშრომლების ინტეგრაციას ახდენს აღნიშნული წესის შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიუსას აღნიშნა, რომ ახალი თანამშრომლის სამსახურში აყვანისსას მას აცნობს სამუშაო გარემოს, სამუშაო აღწერილობას, წარუდგენს თანამშრომლებს. თანამშრომელს გამოუყოფს სამუშაო სივრცეს და გადასცემს საჭირო დოკუმენტაციას.

5.დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შესაბამისი მხარდაჭერა გაუწევიათ თანამშრომლისთვის, რომელმაც სურვილი გამოთქვა ფინანსთა სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში მონაწილეობაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ინტერვიუები;
- პირადი საქმეები;
- 2023 წლის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიული სტუდნეტების მიერ პროფესიული მასწავლებლების შეფასების კითხვარები;

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

## 5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

### 5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

**5.1.1** პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

1. კოლეჯის სარგებლობაშია ქ.თბილისში გ.ფანჯიკიძის N3-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 3083.27 კ ვ .მ , შენობა-ნაგებობა N2-92.19 კვ.მ. საკადასტრო კოდი (01.10.14.004.456), შენობა-ნაგებობა აღჭურვილია საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისთვის საჭირო ინვენტარით. შენობის პირველ სართულზე განლაგებულია ადმინისტრაციის თანამშრომლების სამუშაო კაბინეტები,საკონფერენციო და შეხვედრების ოთახი და სველი წერტილები, მეორე, მესამე და მეოთხე სართულებზე განლაგებულია სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისთვის და სველი წერტილები.
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მატერიალური რესურსების მართვის წესი, რომლითაც რეგულირდება მატერიალური მარაგების მიღება, გაცემა და ბრუნვა.
3.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კოლეჯს ჰყავს 2 დამლაგებელი, ასევე რეგისტრირებულია შპს თბილსერვისჯგუფის და შპს ჯორჯიან ოუთერ ენ ფოუერის აბონენტებად.
4. კოლეჯის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას ჰყავს შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მენეჯერი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

6. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია, რომ პროგრამის შემადგენელი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო, „პროგრამის სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის“ დანართით გათვალისწინებული, მასალა/ნედლეულის სავარაუდო რაოდენობას პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების პროცესში და შემდეგომ მოთხოვნისამებრ,შეძენილი მასალა/ნედლეული დაცულია საწყობში, საიდანაც პროგრამის ხელმძღვანელის მოთხოვნის საფუძველზე, ეტაპობრივად ხდება განმახორციელებლებისთვის მიწოდება. გასაუბრებისას აღნიშნული პრაქტიკა დაადასტურეს პროგრამის ხელმძღვანელებმა. დაწესებულებას ჰყავს ლოჯისტიკი და ბაზრის კვლევის სპეციალისტი, იურისტი/შესყიდვები.
7.კოლეჯის მიერ ჩატარებული პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შესახებ გამოკითხვა მოიცავდა ზოგადი ხასიათის კითხვებს,სადაც პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ქონდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი შენიშვნები. გამოთქმული იყო მოსაზრებები კომპიუტერული ტექნიკის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ხარისხის მართვის მექანიზმებით და ხარისხის მართვის 2023 წლის გეგმით ირკვევა, რომ პროფესიული სტუდენტების გამოკითხვისთვის კითხვარის გადახედვა/შემუშავება ხდება. ვინაიდან დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარება მნიშვნელოვანია, რეკომენდებულია ზოგადი ხასიათის კითხვების ნაცვლად კითხვარში გამოიკვეთოს კითხვები, რომელიც კოლეჯს მისცემს რესურსების სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას.
ასევე მიზანშეწონილია საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები შეაფასონ პროფესიული განათლების მასწავლებლებმაც, რათა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას რესურსების განვითარების საჭიროებების შესახებ პროცესში ჩართული ყველა მხარისგან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. [signature]

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ხიზანიშვილი ------------------------

[signature] ------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

ასევე დირექტორის მოადგილემ წარმოადგინა ფორმა, რომლის მიხედვითაც სასწავლო პროცესის მენეჯერი პერიოდულად ამოწმებს სასწავლო აუდიტორიებს,აფასებს იქ არსებულ გარემოს და რესურსებს და შემგომი რეაგირებისთვის წარუდგენს ინფორმაციას დირექტორის მოადგილეს.

**განვითარების რეკომენდაცია:** სასწავლო რესურსების შეფასება მოხდეს მკაფიო ინსტრუმენტებით სასწავლო პროცესში ჩართული ყველა მხარის მიერ.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. სველ წერტილებში განთავსებულია ჰიგიენის დაცვის საშუალებები, დაწესებულება რეგისტრირებულია შპს ჯორჯიან ოუთერ ენდ ფაუერის აბონენტად. სველი წერტილები მარაგდება წყლით, დაწესებულებას აქვს შშმ პირებისთვის ადაპტირებული 1 სველი წერტილი.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი,რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 10 კომპიუტერი, რომლებშიც ჩატვირთულია სასწავლო მასალები მოდულების შესაბამისად. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამები უზრუნველყოფილია ელექტრონული სასწავლო მასალებით, სასწავლო მასალების ბმულები ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- საგახდო დავალებებით/აბონენტის ნომრები;
- შრომისა და სახანძრო უსაფრთხოების მენეჯერის პირადი საქმე;
- ინტერვიურები;
- ვებ-გვერდი;
- კითხვარები და გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო აუდიტორიების შეფასების შევსებული ფორმა;
- ინტერვიურები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მატერიალური რესურსების მართვის წესი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

☐ არ შეესაბამება

**5.1.2** პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების სარგებლობაში მყოფ სასწავლო ფართში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. კოლეჯს შემუშავებული აქვს უსაფრთხოების აღმოჩენის მექანიზმები, მექანიზმებში განსაზღვრულია უსაფრთხოების აღჭურვილობა და წესები, უსაფრთხოებაზე პასუხიმგებელი პირის უფლებები და ვალდებულებები. დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამა და სერთიფიცირებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა „ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისთვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია", რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების შესაბამისად, ასევე განხორციელებული აქვს კომპეტენტური ორგანოს მიერ შემოწმება სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, არსებობს შესაბამისი მიწერილობა. მიწერილობით განსაზღვრული რეკომენდაციები შესრულებულია. დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. საევაკუაციო გზებზე/გასასვლელებში ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების განთავსებისადგილებში გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის სატელეფონო ნომერი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

დაწესებულება აღჭურვილია ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით - ცეცხლმაქრებით, დამონტაჟებულია სახანძრო სიგნალიზაცია, კვამლზე მორეაგირე და თბური დეტექტორები.

2.დაწესებულებას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირი, რომლებიც პასუხისმგებელია პირველი დახმარების აღმოჩენაზე. დაწესებულებას აქვს პირველი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი, შეძენილია პირველი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო აღჭურვილობა და მასალები. პირველ დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირს გავლილი აქვს შესაბამისი გადამზადება. განსაზღვრულია პირველ გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები, გაფორმებულია ხელშეკრულება.

3. დაწესებულებამ წარმოადგინა **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა**, რომელიც შედგენილია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N 452 დადგენილებით მიღებულ საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შესაბამისად, რომელიც **ვიზიტის პერიოდში გაიგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შესათანხმებლად.** (იხილეთ დანართი 5- გაგზავნილი წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად); დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციას წარმოდგენისას დაწესებულებამ გამოაგზავნა საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეთანხმების წერილი.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს წესრიგის დაცვის მექანიზმებს.

დაწესებულებას ჰყავს 4 დარაჯი, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები. კოლეჯის პერიმეტრის კონტროლისთვის დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის სტრუქტურა;
- შესყიდვის აქტები;
- გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტი/შესყდვის აქტები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
- სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 131;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან გაგზავნილი წერილი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

## 5.2 საინფორმაციო რესურსები

**5.2.1** პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.კოლეჯის IT ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, აქსესუარები, კომპიუტერული ქსელი და სისტემები) შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. დაწესებულებას კომპიუტერული ტექნიკით აქვს აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, პროფესიული სტუდენტებისთვის სამუშაო სივრცე, ადმინისტრაციის პერსონალის სამუშაო ადგილები. აქვს იზოლირებული სასერვერო ოთახი. კოლეჯში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. 2019 წლის 1 ივლისს გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან" . მემორანდუმის ფარგლებში განისაზღვრება აკადემიაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების და მსმენელებისთვის. მემორანდუმის მიზანია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

აკადემიისთის ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის გაწევა, რაც მოიცავს აკადემიისთვის ინტერნეტის მიწოდებას უწყვეტ რეჟიმში. მემორანდუმი დადებულია უვადოდ.
2. IT რისკების მართვის და მიმდინარე პროცესების მხარდაჭერის მიზნით კოლეჯს ჰყავს ქსელის ადმინისტრატორი და ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტები. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ხელმძღვანელობს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, კოლეჯი ახორციელებს ფიზიკური წვდომის კონტროლს იმ მოწყობილობებზე, რომელიც შეიცავს ან ამუშავებს მაღალი კრიტიკულობის ან მგრძნობელობის ინფორმაციას.
3. პროფესიულ სტუდენტებთან და დასაქმებულებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არის სპეციალური ჩანაწერი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ასევე ადამიანური რესურსების მენეჯერს, იურისტსა და პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერს განსაზღვრული აქვთ იმოქმედონ პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის შესაბამისად. უსაფრთხოების კამერების ჩანაწერები ინახება პაროლით დაცულ მოწყობილობაში და ავტომატურად იშლება 2 კვირის შემდეგ.
4. დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.დაწესებულებას ჰყავს ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობაა სათანადო რეაგირება მოახდინონ აპარატურული ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობის შემთხვევებზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარების მექანიზმები. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ყოველდღიურად ხდება სასწავლო აუდიტორიებში აღმოჩენილ ტექნიკურ გაუმართაობებზე რეაგირება.
5.დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალურ ფასეულობათა მართვის წესი, სადაც გაწერილია პერსონალისთვის მატერიალური ფასეულობებით სარგებლობის წესი, ხოლო სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია კოლეჯის პროფესიული სტუდენტის უფლებები, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, კორპორაციული ელ.ფოსტით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ნ. ხოაშიძე -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

და KEEPIT სივრცით.

6. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. პერსონალის და პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისთვის გამოიყენება კორპორატიული მეილები (G-suits).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- შესყიდვის აქტები;
- ინტერვიუს შედეგები;
- მემორანდუმი სსიპ „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან“;
- IT რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

**5.2.2** პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმადებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. წესით განსაზღვრულია დოკუმენტის მიღების, რეგისტრაციის, ხარვეზის დადგენის, ინდექსიაციის წესები, რეგისტრაციის ვადები. შიდა დოკუმენტაციის ფორმები და სხვა.

2.ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ხორციელდება Eflow-სისტემის გამოყენებით. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია შიდა მიმოწერის ფორმები, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა საშუალებებით ხდება სამსახურებრივი ბარათის ან/და განცხადების წარდგენა. ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით E-flow-სისტემას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია არსებული პრაქტიკის შესაბამისად საქმის წარმოების წესში მოხდეს აღნიშვნა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის გამოყენების თაობაზე.  ბრძანებების გამოცემა ხდება ბლანკზე ბეჭდური სახით, წლის განმავლობაში გამოცემული ბრძანებები იკერება წიგნად. დაწესებულებას ასევე მიეცა რეკომენდაცია სხვა შიდა დოკუმენტების მსგავსად, ბრძანებების გენერირებისთვის გამოიყენონ ეფლოუს სისტემის ფუნქციონალი და ბრძანებაც შექმნან იფლოუს სისტემაში, რაც საშუალებას მისცემს გაამარტივოს ვიზირების პროცედურა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

დოკუმენტების აღრიცხვა ხორციელდება შემდეგ ჟურნალებში: ,, სტუდენტების ხელშეკრულებების ჟურნალი“, ,, დიპლომების გაცემის ჟურნალი“,“ სერტიფიკატების გაცემის ჟურნალი“, ,,შემოსული და გასული კორესპოდენციის ჟურნალი“, ,,ბრძანებების ჟურნალი“.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას. ვიზიტის დროს გადამოწმდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა, სადაც ასახულია ინფორმაცია სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი და კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების შესახებ, ბაზაში ასახულია შესაბამისი ბრძანებების რეკვიზიტები.

4.დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს/ინფორმაციას კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებში წარდგენილი ინფორმირების წერილები და ანგარიშები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საქმისწარმოების წესი;
- Eflow-ს სისტემა;
- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
- ბრძანებების წიგნები;
- აღრიცხვის ჟურნალები;
- გასაუბრება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

- გაგზავნილი წერილები/ანგარიშები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**5.2.3** პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი http://itvet.ge. და გვერდები სოციალურ ქსელებში ფეისბუქი და ინსტაგრამი. ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდები ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. ვებ-გვერდზე განთავსებულია კოლეჯის სტრუქტურა, მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ანგარიშები, პროგრამების შესახებ ინფორმაცია, სამართლებრივი აქტები, სიახლეები და სხვა.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს დომენის ხელშეკრულება.

2. დაწესებულების ვებ-გვერდი ორენოვანია, კოლეჯის შესახებ ძირითადი ინფორმაცია ვებგვერდზე განთავსებულია ინგლისურ ენაზეც.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიები (PRC სტრატეგიები),რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კატალოგში მოცემულია კოლეჯის ისტორია, კოლეჯის პროგრამების შესახებ ინფორმაცია (მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამის მიზნები, პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და მისაღწევი შედეგები), განხორციელებული პროექტები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ საკომუნიკაციო არხების საშუალებით ისეთი უკუკავშირი არ მიუღიათ, რაც მნიშვნელოვან ცვლილებებს საჭიროებდა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კოლეჯის ვებ-გევრდი;
- სოციალური ქსელის არხები: https://www.facebook.com/itvet https://www.instagram.com/itvet.academy/ ;
- დომენის ხელშეკრულება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიები (PRC სტრატეგიები);
- ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგი;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან გასაუბრება.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

*(თბილისი,2023)*

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 5.3 ფინანსური რესურსები

**5.3.1** დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 2023 წლის ბიუჯეტი, ბიუჯეტის თანხები ასახულია სახელმწიფო ხაზინაში.
2. კოლეჯის ბიუჯეტით უზრუნველყოფილია საოპერაციო ხარჯები.
3.დაწესებულებაში არ ჩატარებული აუდიტი ფინანსური კუთხით, დაწესებულება ყოველწლიურად წარადგენს შესაბამის ფინანსურ ანგარიშებს კონტროლის განმახორციელებელ უწყებებში.
4. დაწესებულებას წარდგენილი ანგარიშების შესაბამისად კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებისგან შენიშვნა არ მიუღია.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ბიუჯეტი, სახელმწიფო ხაზინა;
- გაგზავნილი ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. თბილისი, გურამ ფანჯიკიძის N3 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 84 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 125 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 155 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

## X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

*(თბილისი,2023)*

XI. სტანდარტის შეფასება

## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

### 2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
